მაჰათმა განდი

Mahatma Gandhi

# რას ნიშნავს იესო ჩემთვის

# WHAT JESUS MEANS TO ME

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

წიგნში ავტორი გვიყვება იმის შესახებ, თუ როგორი დიდი გავლენა იქონია იესო ქრისტემ მის ცხოვრებასა და რწმენაზე. იგი აღტაცებულია იესოთი, როგორც სულიერი ლიდერით, ფილოსოფოსით. გვიზიარებს, როგორ ესმის ქრისტეს მოძღვრება და რა როლი შეასრულა ქრისტემ მისი არა-ძალადობრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

მთარგმნელი: გია ბერაძე
კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6554-1

## სარჩევი


**თავი 1**.....5

ჩემ მიერ ქრისტიანობის.....5

შესწავლის ადრეული პერიოდი.....5

**თავი 2**.....7

ქადაგება მთაზე.....7

ქრისტე – უზენაესი ხელოვანი.....9

**თავი 3**.....10

რატომ არ მოვიქეცი მე ქრისტიანად.....10

**თავი 4**.....12

ღმერთის მხოლოდშობილი ძე.....12

**თავი 5**.....16

რას ნიშნავს იესო ჩემთვის.....16

**თავი 6**.....21

იესოს გზავნილი.....21

**თავი 7**.....24

იესო, რომელიც მე მიყვარს.....24

თავი 8.....30
ქრისტე – პრინცი სატიაგრაჰებს შორის.....30
იესო, როგორც პოლიტიკოსი.....34
თავი 9.....35
თავისი დროის უდიდესი ეკონომისტები.....35
თავი 10.....41
პროზელიტიზაცია (სხვა რჯულზე მოქცევა).....41
თავი 11.....44
ინდოეთში მისიონერებისათვის.....44
თავი 12.....47
ინდოელ ქრისტიანებს.....47
თავი 13.....50
ქრისტიან მეგობრებს.....50
თავი 14.....58
წმინდა წერილების ტექსტების ფასეულობა.....58
თავი 15.....61
დასავლეთის ქრისტიანობა დღეს.....61
თავი 16.....64
ცეილონის ახალგაზრდობას.....64
თავი 17.....68
რამდენიმე შეკითხვა და პასუხი.....68

## თავი 1.
## ჩემ მიერ ქრისტიანობის შესწავლის ადრეული პერიოდი[1]

ნამდვილად არ შემეძლო იმის დაჯერება, რომ მხოლოდ იესო იყო ღმერთის ძე ინკარნაცია და მხოლოდ იესოს სჯეროდა, რომ მასში ექნებოდა მარადიული სიცოცხლე. ღმერთს რომ ვაჟიშვილები ჰყოლოდა, ყველა ჩვენგანი მისი ვაჟიშვილი იქნებოდა. თუ იესო ღმერთის მსგავსი იყო, ან თვით ღმერთი, მაშინ ყველა ადამიანი ღმერთის მსგავსი იყო და თვითონაც შეიძლებოდა ღმერთი ყოფილიყო. მე მზად არ ვიყავი დამეჯერებინა, რომ, პირდაპირი მნიშვნელობით, იესომ თავისი სიკვდილით და თავისი სისხლით მთელი კაცობრიობა გამოისყიდა. თუმცა მეტაფორულად ამაში შეიძლებოდა რაღაც

1. ავტობიოგრაფია. გვ. 98-99. 1958.

ჭეშმარიტება ყოფილიყო. ქრისტიანობის მიხედვით, მხოლოდ ადამიანებს აქვთ სული და არა სხვა ცოცხალ არსებებს, რომელთათვის სიკვდილი სრულ გაქრობას ნიშნავს. მართალია მე საწინააღმდეგო აზრის ვიყავი, მაგრამ იესო შემეძლო მიმეღო, როგორც მოწამე, მსხვერპლის გაღების განსხეულება და ღვთაებრივი მასწავლებელი და არა ყველაზე სრულყოფილი ადამიანი მათ შორის, რომელიც კი ამქვეყნად დაბადებულა. მისი სიკვდილი ჯვარზე დიდი მაგალითი იყო მსოფლიოსათვის, მაგრამ მე არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ მასში იყო რაღაც იდუმალებით მოცული და სასწაულებრივი სათნოება. ქრისტიანების ღვთისმოსაური ცხოვრება ჩემთვის არ განსხვავდებოდა სხვა რწმენის მიმდევარი ადამიანების ღვთისმოსაური ცხოვრებისაგან. მე სხვების ცხოვრებაშიც მინახავს ის გარდაქმნები, რომლებზედაც გამეგონა, რომ ქრისტიანების ცხოვრებაში ხდებოდა. ფილოსოფიური თვალსაზრისით, ქრისტიანულ პრინციპებში ექსტრაორდინარული არაფერი არ იყო. მსხვერპლის გაღების თვალსაზრისით კი, მე მეჩვენებოდა, რომ ინდუსები ბევრად აღემატებოდნენ ქრისტიანებს. ამდენად, ჩემთვის შეუძლებელი იყო ქრისტიანობა სრულყოფილ ან ყველაზე დიდ რელიგიად ჩამეთვალა ყველა სხვა რელიგიას შორის.

## თავი 2.[2]
## ქადაგება მთაზე

მე ვერ შევძელი ძველი აღთქმა ბოლომდე წამეკითხა. წავიკითხე „დაბადება“, მომდევნო თავები კი აუცილებლად თვლემას მგვრიდა და მხოლოდ იმისთვის ვკითხულობდი, რომ მეთქვა, წაკითხული მქონდა. გაჭირვებით წავიკითხე სხვა თავები ყოველგვარი ინტერესის გარეშე, ისე, რომ ვერც ვიგებდი. ძალიან არ მიყვარდა „*რიცხვთა* წიგნის“ კითხვა.

მაგრამ „ახალმა აღთქმამ“ სრულიად განსხვავებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, განსაკუთრებით „მთაზე ქადაგებამ“. პირდაპირ გულში მომხვდა. მე ის გიტას შევადარე. „ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს: არამედ ვინც

2. ავტობიოგრაფია გვ. 49. 1958.